



# საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის



## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1  
04/01/2019

1-02-4-201901042311



**მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85<sup>4</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები №1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.
2. ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.
3. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს №1 დანართის მიხედვით.
4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის და ადმინისტრაციულ ერთეულებში

მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09-დან 18საათამდე, 2019 წლის 14 იანვრის ჩათვლით.

5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

ალექსი გილაშვილი - მერის პირველი მოადგილე - ტელ: 577 15 75 49 ელ.ფოსტა: leqsog@gmail.com

როსტომ ბაქრაძე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - ტელ: 599 80 21 21 ელ.ფოსტა: baqradze.r@gmail.com

ნიკოლოზ დიღმელაშვილი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის მერის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი - ტელ: 598 18 77 57 ელ.ფოსტა: [digmelashvili1978@gmail.com](mailto:digmelashvili1978@gmail.com)

გიორგი ერბოწონაშვილი



მუნიციპალიტეტის მერი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 04 იანვრის # 1 ბრძანების დანართი 1

#	დასახლების სახელწოდება	საერთო კრების სხდომის ან კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო	გადაწყვეტილების მიღების ფორმა	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება, ლარი
1.	1.სოფ.კოჭბაანი(149) 2.სოფ.ოთარაანი(32) 3.სოფ.სასადილო(105) 4.სოფ.გორანა(110) 5.სოფ.იკვლივ გორანა(44)	22.01.2018წ. 11 სთ. კოჭბაანი, ადმინისტრაციული შენობა	დასახლების საერთო კრება	5000ლ 5000ლ 5000ლ 5000ლ 5000ლ
2.	1.სოფ.გომბორი(916) 2.სოფ.რუსიანი(91) 3.სოფ.ვერონა(105) 4.სოფ.ვაშლიანი(23) 5.სოფ.ასკილაური(135)	22.01.2018წ. 13 სთ გომბორი, ადმინისტრაციული შენობა	კონსულტაცია საერთო კრება საერთო კრება საერთო კრება საერთო კრება	8000ლ 5000ლ 5000ლ 5000ლ 5000ლ
3.	1.სოფ.უჯარმა(860), 2.სოფ.პალდო(58) 3.მუხროვანი (16)	22.01.2018წ. 15 სთ ადმინისტრაციული შენობა	კონსულტაცია საერთო კრება საერთო კრება	8000ლ 5000ლ 5000ლ
4.	1.სოფ.ხაშმი(1730)	23.01.2018წ. 11 სთ ადმინისტრაციული შენობა	კონსულტაცია	10000ლ
5.	1.სოფ.პატარძელი(3108)	23.01.2018წ. 13 სთ ადმინისტრაციული შენობა	კონსულტაცია	10000ლ
6.	ნინოწმინდა (2620)	23.01.2018წ. 15 სთ ადმინისტრაციული შენობა	კონსულტაცია	10000ლ
7.	წყაროსთავი (12000)	23.01.2018წ. 17 სთ ადმინისტრაციული შენობა	კონსულტაცია	10000ლ

8.	1.სოფ.გიორგიწმინდა(2775) 2.სოფ.ანთოკი(105) 3.სოფ.მარიაძვევარი(60)	24.01.2018წ. 11სთ გიორგიწმინდა, ადმინისტრაციული შენობა	კონსულტაცია საერთო კრება	10000ლ 5000ლ 5000ლ
9.	თოხლიაური (1108)	24.01.2018წ. 13სთ ადმინისტრაციული შენობა	კონსულტაცია	8000ლ
10.	საგარეჯო (12700)	24.01.2018წ. 15სთ ადმინისტრაციული შენობა	კონსულტაცია	10000ლ
11.	1.მანავი (3336) 2.ბურდიანი (45)	24.01.2018წ. 17სთ მანავი, ადმინისტრაციული შენობა	კონსულტაცია საერთო კრება	10000ლ 5000ლ
12.	დიდი ჩაილური (1153)	25.01.2018წ. 11 სთ ადმინისტრაციული შენობა	კონსულტაცია	8000ლ
13.	პატარა ჩაილური (1147)	25.01.2018წ. 13სთ ადმინისტრაციული შენობა	კონსულტაცია	8000ლ
14.	კაკაბეთი (3341)	25.01.2018წ. 15სთ ადმინისტრაციული შენობა	კონსულტაცია	10000ლ
15.	ვერხვიანი (568)	25.01.2018წ. 17სთ ადმინისტრაციული შენობა	კონსულტაცია	8000ლ
16.	1.ყანდაურა (1311) 2. ზემო ყანდაურა (43)	28.01.2018წ. 11სთ ყანდაურა, ადმინისტრაციული შენობა	კონსულტაცია საერთო კრება	10000ლ 5000ლ
17.	ბადიაური (1575)	28.01.2018წ. 13სთ ადმინისტრაციული შენობა	კონსულტაცია	10000ლ
18.	მზისგული (760)	28.01.2018წ. 15სთ ადმინისტრაციული შენობა	კონსულტაცია	8000ლ
19.	შიბლიანი (667)	28.01.2018წ. 17სთ ადმინისტრაციული შენობა	კონსულტაცია	8000ლ
20.	1.სოფ.იორმუდანლო(2547) 2.სოფ.ქეშალო(3953)	29.01.2018წ. 11სთ საზოგადოებრივი ცენტრი	კონსულტაცია კონსულტაცია	10000ლ 10000ლ
21.	1.სოფ.ზემო ლამბალო(4402) 2.სოფ.ქვემო ლამბალო(4532)	29.01.2018წ. 13სთ	კონსულტაცია კონსულტაცია	10000ლ 10000ლ

		ლამბალო, ადმინისტრაციული შენობა		
22.	1. თულარი (4297) 2. კაზლარი (1752)	29.01.2018წ. 15სთ საჯარო სკოლა	კონსულტაცია კონსულტაცია	10000ლ 10000ლ
23.	1. დუზაგრამა(1196) 2. სოფ. პალდო(1146) 43 სოფ. წიწმატიანი(1167)	29.01.2018წ. 17სთ ადმინისტრაციული შენობა	კონსულტაცია კონსულტაცია კონსულტაცია	8000ლ 8000ლ 8000ლ
24.	უდაბნო (830)	30.01.2018წ. 11სთ სარიტუალო დარბაზი	კონსულტაცია	8000ლ
25.	სათაფლე (145)	30.01.2018წ. 13სთ ადმინისტრაციული შენობა	საერთო კრება	5000ლ

დანართი 2

საპროექტო წინადადებების ფორმა

1. დასახლებ(ებ)ის სახელწოდება, სადაც უნდა მოხდეს საპროექტო წინადადების განხილვა			
2. საპროექტო წინადადების სათაური			
3. საჭიროება/პრობლემა, რომლის გადაჭრას ითვალისწინებს საპროექტო წინადადება			
4. საპროექტო წინადადების მოკლე შინაარსი			
5. პროექტის ავტორ(ებ)ის სახელი და გვარი	პირადი ნომერი	ტელეფონი	ელფოსტის მისამართი